სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030666570160021

08 / სექტემბერი / 2021 წ. **თბილისი #06-164/ო**

COVID- 1 9 - ის საწინააღმდეგო ვაქცინის მოსარგებლე დამატებითი პირების განსაზღვრის და ვაქცინაციის პროცესის მოწესრიგების შესახებ

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 -ე და 63 -ე მუხლების, „ჯანმრთელობის დაცვის 2021 წლის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილებით დამტკიცებული „იმუნიზაციის“ სახელმწიფო პროგრამის მე-9 მუხლის „10^1“ პუნქტის, „COVID- 19 - ის საწინააღმდეგო ვაქცინის მოსარგებლე დამატებითი პირების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 22 ივლისის #01-285/ო ბრძანების მე-2 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის საფუძველზე და საქართველოში COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაციის დანერგვის უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილებით,

ვბრძანებ:

1.სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში შესყიდული ახალი კორონავირუსული დაავადების − COVID-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინაცია, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული მოსარგებლეების გარდა, გავრცელდეს შემდეგი კატეგორიის ბენეფიციარებზე:

ა) საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალურად მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე/მოქალაქეობის არმქონე პირი (რომელთა ლეგალურად ყოფნა დასტურდება, შესაბამისი ვიზის, ბინადრობის ნებართვით ან უვიზო რეჟიმის ხანგრძლივობით), რომელიც იმყოფება საქართველოში და მისი შემოსვლიდან გასულია მინიმუმ 3 თვე (პერიოდულად (3 თვიანი შუალედებით) საქართველოს ტერიტორიის მოკლევადიანი დატოვების შესაძლებლობის გათვალისწინებით);

ბ) სახელმწიფო პროგრამის “იმუშავე საქართველოდან” მონაწილე უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მათი ოჯახის წევრები;

გ) საქართველოში განათლების მიღების მიზნით მყოფი უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტები (რომლებმაც ვერ მოახერხეს ქვეყნის დატოვება), შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სიის საფუძველზე;

დ) საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური წარმომადგენლობების, საკონსულო დაწესებულებების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობების, აგრეთვე მათთან გათანაბრებული წარმომადგენლობების უცხოელი თანამშრომლები და მათი ოჯახის წევრები;

ე) საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მყოფი მოსახლეობა მოქალაქეობის მიუხედავად, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ პროექტებში მომუშავე პირები და მათი ოჯახის წევრები;

ვ) პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი პირები, იდენტიფიკაციის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტის არქონის მიუხედავად;

ზ) № 164 განკარგულებით განსაზღვრული უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომლის ოჯახის წევრი (შვილი, მშობელი, მეუღლე) წარმოადგენს საქართველოს მოქალაქეს.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების ვაქცინირებისთვის ამცრელ დაწესებულებებად განისაზღვრონ:

ა) შ.პ.ს. „აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“ (თბილისი, რუხი);

ბ) შ.პ.ს. „ბათუმის რესპუბლიკური საავადმყოფო“;

გ)შ.პ.ს. „ო. ჩხობაძის სახელობის ინვალიდთა და ხანდაზმულთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო კლინიკური ცენტრი“;

დ) შ.პ.ს. „Exspress Medical Service” - თბილისის ზღვის პლაზა (ჰუალინგი).

ე) შ.პ.ს. სამედიცინო ცენტრი „ვივამედი“.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულმა პირებმა ვაქცინაციის სურვილის შემთხვევაში, ამ ბრძანების მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ამცრელ დაწესებულებებს უნდა წარუდგინონ პირველი პუნქტით განსაზღვრულ, რომელიმე კატეგორიასთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვაქცინაცია არ ჩატარდება.

4. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირების ელექტრონულ სისტემებში შეუფერხებელი რეგისტრაციისათვის, პენიტენციური დაწესებულების უფლებამოსილი პირების მიერ წინასწარ მოხდეს მათი აღრიცხვა და გარჩევადობა სხვადასხვა ნიშნით ელექტრონულ სისტემაში „სისტემის მომხმარებლები“

5. ვაქცინაციის მწარმოებელი ამცრელი დაწესებულებები ვალდებული არიან, ამ ბრძანებით განსაზღვრული კატეგორიების შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეინახონ არანაკლებ 2 (ორი) წელი.

6. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პირების რეგისტრაცია ელექტრონულ სისტემაში განხორციელდება მხოლოდ ვაქცინაციის შემდეგ.

7. დაევალოს ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილეს - ალექსანდრე ტურძილაძეს დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ამცრელი დაწესებულებებისთვის ამ ბრძანებასთან დაკავშირებული ყველა პროცედურა რიგების მართვის ელექტრონულ სისტემაში.

8. დაევალოთ:

ა) ცენტრის იურიდიულ სამმართველოს (ლ.ებანოიძე) ამ ბრძანების გამოქვეყნება ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე www.ncdc.ge.

ბ) ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების და რეგიონული მართვის დეპარტამენტს (ვ. გეთია) ამ ბრძანების გაცნობა ამავე ბრძანებით განსაზღვრული დაწესებულებებისათვის.

9. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ‘’COVID- 1 9 - ის საწინააღმდეგო ვაქცინის მოსარგებლე დამატებითი პირების განსაზღვრის და ვაქცინაციის პროცესის მოწესრიგების შესახებ’’ სსიპ -ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის 2021 წლის 20 აგვისტოს N 06 -151/ო ბრძანება.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გენერალური დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ამირან გამყრელიძე